საექსპერტო დასკვნა 17 თებერვალი 2022 წ

ქ. თბილისი. ქუჩა დოლაბაურის #20. ს/კ 01.17.13.045.117 საკადასტრო ერთეულზე მდებარე მრავალფუნქციური კომპლექსი/შენობის არქიტექტურული პროექტის შესაბამისობაზე საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის #41 დადგენილებასთან, ტექნიკური რეგლამენტის - "შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების" - დამტკიცების თაობაზე

საპროექტო დოკუმენტაცია შეადგინა არქიტექტორმა: გიორგი ჭუმბურიძემ

საპროექტო დასკვნა მომზადებულია პროექტის ცვლილების გათვალისწინებით.

1. **ცვლილება შეეხო 0,00 ნიშნულზე განლაგებულ სამორინეს ფართობს. მის ნაცვლად მოეწყობა სამასაჟო ოთახები და საცურაო აუზი, რომელიც იქნება სარეაბილიტაციო ფუნქციის და მოემსახურება სამასაჟო სივრცის დამკვებლებს.**
2. **ცვლილება ასევე შეეხო 5,20 ნიშნულზე განლაგებულ სამორინეს ფართობსაც სადაც სამორინეს ნაცვლად განლაგდება რესტორანი და სამზარეულო.**

შენობის სხვა კომპონენტები არის უცვლელი, ხოლო საექპერტო დასკვნაში ცვლილებები შეეხო მხოლოდ ზემოთ აღწერილ კომპონენტებს.

საექსპერტო დასკვნის შესადგენად გამოყენებულ იქნა დამკვეთის მიერ მოწოდებული დოკუმენტაცია: "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილებაში, საქართველოს მთავრობის 2017 წლის 6 თებერვლის #63 დადგენილებით შეტანილი ცვლილებების საფუძველზე 47-ე მუხლის (მუხლი 47. "არქიტექტურული პროექტის შემადგენლობა") შესაბამისად მომზადებული არქიტექტურული პროექტი

საექსპერტო დასკვნა მოიცავს აღნიშნული არქიტექტურული პროექტის ნაწილების შეფასებას საქართველოს მთავრობის 2017 წლის 6 თებერვლის #63 დადგენილებით ("მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე) მე-5 მუხლის, მე-3 პუნქტის მიხედვით.

1. შენიშვნები.

1. საპროექტო დასკვნა წარმოადგენს სანებართვო არქიტექტურული პროექტის საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის #41 დადგენილებასთან, ტექნიკური რეგლამენტის - "შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების" დამტკიცების თაობაზე შესაბამისობის შეფასებას და არ მოიცავს საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედ, სამშენებლო სფეროში გამოყენებულ სხვა რაიმე დადგენილებასთან შესაბამისობის ანალიზს.

2. საექსპერტო დასკვნისთვის მოწოდებული დოკუმენტაციის სისწორეზე და რიალობასთან შესაბამისობაზე პასუხისმგებელია მომწოდებელი მხარე.

3. საექპერტო დასკვნაში გამოყენებული ტერმინები (დაკავებულობა, დაკავებულობის დატვირთვა, მისაწვდომობა და სხვა) შეესაბამება შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესებში გამოყენებულ ტერმინებს და უნდა განმარტოს აღნიშნული წესების მიხედვით. განუმარტავი ტერმინები საყოველთაოდ მიღებული მნიშვნელობით გამოიყენება.

2. ტერმინები და განმარტებები

1. **წესები** - შნობა ნაგებობის უსაფრთხოების წესები

2. **შშმ** - შეზღუდული შესაძლებლობის მქონე

3. პროექტის აღწერილობა

დაგეგმარების საფუძველი და მიზნები

საპროექტო შენობის დაგეგმარების საფუძველს წარმოადგენს ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის მიერ გაცემული ბრძანება № 2343996. 15/12/2015 წ. მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები. პროექტის მიზანია მრავალფუნქციური კომპლექსი/შენობის დაგეგმარება მოქმედი კანონმდებლობის დაცვით, თანამედროვე გეგმარებითი პრინციპებისა და შენობა-ნაგებობების უსაფრთხოების წესების გამოყენებით.

მიწის ნაკვეთის მდებარეობა

საპროექტო მიწის ნაკვეთი, რომლის ფართია 1907 კვ/მ მდებარეობს ქ. თბილისი. ქუჩა დოლაბაურის #20. ს/კ 01.17.13.045.090 საკადასტრო ერთეულზე. მდინარე მტკვრის სანაპირო ზოლში. ტერიტორია ქანობიანია, დონეთა სხვაობა 13 მეტრს აღწევს. მიწის ნაკვეთს ჩრდილოეთის და სამხრეთის მხრიდან აკრავს სატრანსპორტო გზა, საიდანაც შესაძლებელია საპროექტო ნაკვეთზე მოხვედრა. აღმოსავლეთით ესაზღვრება მრავალსართულიანი ნაგებობა (სასტუმრო), ხოლო დასავლეთიდან განლაგებულია ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლები.

პროექტის შინაარსობრივი აღწერა

საპროექტო ნაგებობა შედგება თერთმეტი სართულისაგან. -4.-3.-2.-1 სართულები დათმობილი აქვს დახურულ ავტოსადგომებს, +1 და +2 სართულებზე განლაგებულია საქმიანი (სპა) და თავშეყრის (რესტორანი, სატრენაჟორო) სივრცეები, +3. +4 და +5 სართულებზე განლაგებულია სასტუმროს (მცირე ხნით დამკავებელთათვის) საცხოვრებელი ერთეულები, ხოლო +6 და +7 სართულზე განლაგებულია სასტუმროს (ხანგრძლივად დამკავებელთათვის) საცხოვრებელი ერთეულები. ავტოსადგომში შესვლა ხდება -4 სართულზე, შიდა სივრცეში მოწყობილია საავტომობილო პანდუსი რომელიც აერთიანებს ავტოსადგომების ოთხივე სართულს და სპირალური პრინციპითაა დაგეგმარებული. ავტომობილების გამოსასვლელი მოწყობილია -1 სართულზე გარეთ გამომსვლელი საავტომობილო პანდუსის სახით, რომელიც -1 სართულს აკავშირებს ნაკვეთის ჩრდილოეთით არსებულ საზოგადოებრივ გზასთან 0,00 ნიშნულზე. ეზოში ნაკვეთის ჩრდილო დასავლეთ მხარეს, მიწის ქვეშ მოწყობილია ავტოსაშხეფი სისტემის ავზი და ტუმბო.

პროექტის კონსტრუქციული სტრუქტურის აღწერა

შენობის ძირითადი სრტუქტურული სისტემა გადაწყვეტილია რკინაბეტონის მონოლითური კარკასით. საძირკველს წარმოადგენს ადგილზე ფორმირებული რკინაბეტონის ფილა, ასევე მონოლითური რკინაბეტონის ფილებითაა მოწყობილი ყველა სართულშუა გადახურვა. კედლების შემავსებლად გამოყენებულია ბეტონის ბლოკი.

4. ძირითადი ნაწილი

1. დაკავებულობ(ებ)ისა და დაკავებულობის დატვირთვის შეფასება:

წესების მე-3 თავის მიხედვით საპროექტო ობიექტისთვის და მისი ცალკეული ნაწილებისათვის განსაზღვრულია დაკავებულობები და დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორები **წესების** 1004.1.2 ცხრილის შესაბამისად.

- **სც-1 (310.3)** საცხოვრებელი ჯგუფი (სასტუმრო მცირე ხნით დამკავებელთათვის), ეს დაკავებულობები განლაგებულია ნაგებობების +3. +4 და +5 სართულებზე. სწორადაა შერჩეული დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორი 18.6 მთლიანი.

- **სც-2 (310.4)** საცხოვრებელი ჯგუფი (სასტუმრო ხანგრძლივად დამკავებელთათვის), ეს დაკავებულობები განლაგებულია ნაგებობების +6 და +7 სართულებზე. სწორადაა შერჩეული დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორი 18.6 მთლიანი.

- **სწ-2 (311.3)** სასაწყობო ჯგუფი, რომელიც **წესების** მიხედვით მოიცავს "ღია ან დახურულ ავტოსადგომებს". ეს დაკავებულობა განლაგებულია ნაგებობის -4,-3,-2 და -1 სართულებზე. სწორადაა შერჩეული დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორი 46.5 მთლიანი.

- **თვ-2 (303.3)** თავშეყრის ჯგუფი, რომელიც **წესების** მიხედვით მოიცავს "რესტორნებს და მათ სამზარეულოებს". ეს დაკავებულობა განლაგებულია ნაგებობის +2 სართულზე. სწორადაა შერჩეული დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორი 1,4 სუფთა რესტორნისთვის და 18,6 მთლიანი რესტორნის სამზარეულოსათვის.

- **სქ (304.1)** საქმიანი ჯგუფი, (სპა სალონის სამასაჟო ოთახები და სარეაბილიტაციო აუზის სივრცეები) ეს დაკავებულობა განლაგებულია ნაგებობის +1 სართულზე. სწორადაა შერჩეული დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორი 9,3 მთლიანი.

2. კონსტრუქციის ტიპის შეფასება:

პროექტის კვლევის საფუძველზე შენობა-ნაგებობა განისაზღვრა **I-A ტიპის** კონსტრუქციად, რომელიც შერჩეულ იქნა შენობის დაკავებულობის, სიმაღლისა და სართულის ფართობის მიხედვით და სავსებით აკმაყოფილებს **წესების** 503 ცხრილის მოთხოვნებს.

3. სიმაღლისა და ფართობის შეფასება:

- კონსტრუქციის ტიპიდან გამომდინარე 503 ცხრილის მიხედვით საპროექტო შენობაში გამოყენებული დაკავებულობების ფართობებს, მიწისზედა სართულების რაოდენობას და შენობის სიმაღლეს არ აქვს შეზღუდვა. ყველა ეს კომპონენტი შეუზღუდავია. შესაბამისად შენობაში არსებული დაკავებულობების ფართობები სართულები და შენობის სიმაღლე აკმაყოფილებს 503 ცხრილის მოთხოვნას.
- წესების 601 ცხრილის მიხედვით განისაზღვრა შენობის ელემენტების ცეცხლ მედეგობის ხარისხები, რაც სრულიად შეესაბამება წარმოდგენილ პროექტში გათვალისწინებულ ცეცხლმედეგობების ხარისხს.

4. გასასვლელების, გასასვლელთან მისადგომის, გასასვლელებისა და შენობიდან გამოსასვლელის შეფასება:

გასასვლელების სისტემაში შემავალი სამივე ელემენტის (გასასვლელთან მისადგომი, გასასვლელი და შენობიდან გამოსასვლელი) ანალიზი განხორციელდა შენობის თვითოეული

სართულის დაკავებულობის დატვირთვის, გასასვლელამდე სავალი მანძილის, ჩიხურ დერეფნებთან დაკავშირებული შეზღუდვების და გასასვლელის კომპონენტების ზომების საფუძველზე მე-10 თავის შესაბამისად.

აღნიშნულ ნაწილში წარმოდგენილი პროექტი აკმაყოფილებს „წესების“ მოთხოვნებს, კერძოდ:

- -4, -3, -2, და -1 სართულებზე განლაგებულ დახურულ ავტოსადგომს **წესების** 1021.2 ქვეთავის მიხედვით ესაჭიროება ორი გასასვლელი. გასასვლელები მოწყობილია შიდა გასასვლელის გზა-კიბის სახით, რომელიც 0,00 ნიშნულზე პირდაპირ გარეთ გადის.

- +1 სართულზე განლაგებულ სპას **წესების** 1015.1.1 ქვეთავის მოთხოვნის მიხედვით ესაჭიროება 2 გასასვლელი თუმცა მას ემსახურება 4 შენობიდან გამოსასვლელი კარი.

- +2 სართულზე განლაგებულ რესტორანის სართულს სადაც იანგარიშება 500 დამკვებელზე ნაკლები - **წესების** 1015.1.1 ქვეთავის მიხედვით ესაჭიროება 2 გასასვლელი, მას აქვს 2 გასასვლელი, რომელიც არის შენობის ძირითადი შიდა გასასვლელის გზა-კიბეებიო, რომელიც ნაგებობის ყველა სართულს აერთებს.

- ნაგებობის 3, 4, 5, 6 და 7 სართულებზე განლაგებულ საცხოვრებელ სართულებს **წესების** 1021.2 ქვეთავის მოთხოვნის მიხედვით ემსახურებათ ორი შიგა გასასვლელის გზა-კიბე.

- **წესების** 1015.2.1 ქვეთავის მიხედვით დაცულია გასასვლელებს შორის მანძილები.

- გზა-კიბეები დაგეგმარებულია **წესები** 1009 და 1022 ქვეთავების შესაბამისად.

- დაცულია გზა-კიბეებს შორის მანძილი, გათვალისწინებულია გზა-კიბის კარის მუშაობის პრინციპი, გასასვლელის კვამლგაუმტარი შემომზღუდავები და ყველა სხვა კომპონენტი, რომელიც განსაზღვრულია **წესების** 403.5 ქვეთავში.

- გზა-კიბეები შემოზღუდულია **წესების** 707 ქვეთავის შესაბამისი ცეცხლმედეგი ზღუდით. ცეცხლმედეგობის ხარისხი 2 საათზე მეტია.

- გზა კიბეებს არ გააჩნიათ ვესტიბიულები, თუმცა ნაგებობა სრულიად აღჭურვილია **წესების** 903.3.1.1 ქვეთავის შესაბამისი ავტოსაშხეფი სისტემით და გზა-კიბის შემოზღუდვებში მოწყობილია დაწნევის სისტემა წესების 909.20.5 ქვეთავის შესაბამსად.

- შენობიდან გამოსასვლელები **წესების** 1027 ქვეთავის შესაბამისადაა დაგეგმარებული. ისინი მდებარეობს მიწის დონეზე (0,00 ნიშნულზე) და გადის შენობის გარეთ საზოგადოებრივ გზაზე.

- გასასვლელთან მისადგომი სავალი მანძილის ზომები დაანგარიშებულია სწორედ, გასასვლელისგან ყველაზე დაშორებული წერტილის გათვალისწინებით და აკმაყოფილებს **წესების** 1016.2 ქვეთავის მოთხოვნებს.

5. გზა-კიბეების და სხვა გასასვლელი საშუალებების გამტარუნარიანობის შეფასება:

- ნაგებობაში პროექტით გათვალისწინებულია ოთხი შიგა გასასვლელის გზა-კიბე. მათი სიგანეები არის 110 სმ-ზე მეტი. რაც აკმაყოფილებს 1005.3.1 და 1009.4 ქვეთვების მოთხოვნებს.

- კიბეებზე სავალი ზედაპირის ღია მხარის გასწვრივ მოწყობილია მოაჯირი **წესების** 1013 ქვეთავის შესაბამისად, ხოლო კედლის მხარეს მოწყობილია სახელური **წესების** 1012 ქვეთვის მოთხოვნათა დაცვით.

- სწორედ არის განსაზღვრული საფეხურების შუბლის სიმაღლე და თარაზული ზედაპირის სიღრმე, რაც აკმაყოფილებს **წესების** 1009.7.2 ქვეთვის მოთხოვნებს, ხოლო გზა-კიბის ბაქნების ზომები შეესაბამება **წესების** 1009.8 ქვეთავის მოთხოვნებს.

- სხვა გასასვლელი საშუალებები სწორედ არის დაგეგმარებული დერეფნის სიგანე აკმაყოფილებს **წესების** 1018.2 ქვეთავისა და 1005.3.2 ქვეთვის მოთხოვნებს.

- ყველა კარი (რაც გასასვლელი საშუალების ნაწილია) აკამყოფილებს **წესების** 1008.11 ქვეთავის მოთხოვნებს.

6. მისაწვდომობის შეფასება:

- საპროექტო შენობა-ნაგებობების 1 სართულის იატაკი მდებარეობს მიწის დონეზე, საიდანც ხდება შშმ პირთა დაკავშირება ლიფტებთან. ლიფტების საშუალებით შშმ პირს შეუძლია მოხვედრა ყველა სართულზე.

- სწორადაა განსაზღვრული მისაწვდომი სვლაგეზი. ყველა კარი რომელიც გასასვლელი საშუალების ნაწილია არის მისაწვდომი.

- ყველა დაკავებულობა და ყველა სართული არის მისაწვდომი.

- მისაწვდომ გასასვლელ საშუალებებს საჭირო არ არის ემსახურებოდეს თავშესაფრის ფართობები, ვინაიდან შენობა მთლიანად აღჭურვილია ავტოსაშხეფი სისტემით და მისი ძირითადი დაკავებულობა არის სც-2, რაც შეესაბამება **წესების** 1007.3 პუნქტის მე-2-6 და 1007.4 მე-2 გამონაკლისებს.

- 1 და 2 სართულებზე სამორინეებში მოწყობილია მისაწვდომი ტუალეტები.

- ნაგებობა სრულად აკმაყოფილებს **წესების** მე-11 თავის მოთხოვნებს.

7. ლიფტების შეფასება:

- ნაგებობაში მოწყობილია 4 ლიფტი წესების 1109.7 1007.2.1 ქვეთავების მოთხოვნით, რომელიც მოსახერხებელია უნარშეზღუდულთა გადაადგილებისათვის.

- ლიფტების დაგეგმარებისას გამოყენებულია **წესების** 1007.4 ქვეთავის მოთხოვნები. ის აკმაყოფილებს საავარიო რეჟიმთან და განგაშის მოწყობილოებთან დაკავშირებულ მოთხოვნებს ASME A117-ის მიხედვით

- ლიფტის შახტის შემომზღუდავი წარმოადგენს ცეცხლმედეგ ზღუდეს, რაც შეესაბამება 1702.1 პუნქტის მოთხოვნას.

- ლიფტის კაბინა აკმაყოფილებს 1702.4 პუნქტის მოთხოვნას. ისეა დაგეგმარებული რომ შესაძლებელია მათში 2,15 X 0,6 ზომის საკაცის შეტანა.

- საჰაეროების ფართობი უტოლდება 0,3 კვ.მ.-ს, რაც შეესაბამება 1704.3 პუნქტის მოთხოვნას.

8. გარე კედლისადმი მოთხოვნების შეფასება:

საპროექტო ნაგებობების გარე კედლების ცეცხლმედეგობის ხარისხი აკმაყოფილებს წესების მოთხოვნებს. კერძოდ:

- ფასადიდან ნაშვერების ზომა აკმაყოფილებს **წესების** 705.2 ქვეთავის მოთხოვნებს.

- ძირითადი სტრუქტურული ჩარჩო, არამზიდი კედლები და ტიხრები შიდა, იატაკის კონსტრუქცია და არაძირითადი ნაწილების ცეცხლმედეგობის ხარისხი აკმაყოფილებს **წესების** 601ცხრილის მოთხოვნებს.

- გარე არამზიდი კედლების ცეცხლმედეგობის ხარისხი აკმაყოფილებს **წესების** 602 ცხრილის მოთხოვნებს.

- გარე კედლის ღიობის მაქსიმალური ფართობი, ხანძარსაწინააღმდეგო მანძილები და ღიობის დაცვის ხარისხი, განსაზღვრულია 705 ქვეთავის მიხედვით და აკმაყოფილებს 705.8 ცხრილის მოთხოვნებს,

- გარე კედლების ანაწყობი, გამოყენებული მასალები და მოპირკეთების ხარისხი აკმაყოფილებს **წესების** 14 თავის მოთხოვნებს.

9. სახურავის ანაწყობის შეფასება:

- სახურავის კონსტრუქცია და არაძირითადი ნაწილები განსაზღვრულია **წესების** 601 ცხრილის მიხედვით. შენობის **I-A** კონსტრუქციის ტიპიდან გამომდინარე საჭიროებს სახურავის 1,5 საათიან ცეცხლმედეგობის ხარისხს, საპროექტო ნაგებობის სახურავს წარმოადგენს რკინაბეტონის ფილა რომელსაც აქვს 2 საათზე მეტი ცეცხლმედეგობის ხარისხი.

- სახურავის ფილის ზედაპირზე განლაგებულია არაწვადი (ქვაბაბის) თბოსაიზოლაციო ფენილი, ქვიშაცემენტის მოჭიმვა და ჰიდროსაიზოლაციო ფენილი. სახურავის ანაწყობი **წესების** 15 თავის მოთხოვნების შესაბამისადაა დაგეგმარებული და აკმაყოფილებს ყველა მოთხოვნას.

- სახურავს ზემოთ მდებარეობს ლიფტის სამანქანე ნაგებობა, რომელსაც უკავშირდება ერთ-ერთი შიდა გასასვლელის გზა-კიბე. სახურავსზედა ნაგებობები აკმაყოფილებს **წესების** 1509 ქვეთავის მოთხოვნებს

- სახურავი **წესებთან** შესაბამისადაა დაგეგმარებული და აკმაყოფილებს ყველა მოთხოვნას.

10. ცეცხლმედეგობის ხარისხის მოთხოვნილი გამიჯვნების შეფასება:

შენობა-ნაგებობა შერეული დაკავებულობისაა მისი ყველა დაკავებულობა, ყველა სართული და ყველა საცხოვრებელი ერთეული ერთმანეთისაგან იმიჯნება 2 საათიანი ცეცხლმედეგობის ხარისხის გამმიჯნავით (ბეტონის სართულშუა გადახურვის ფილებითა და ბეტონის კედლებით), რაც სრულ შესაბამისობაშია **წესების** 508,4 ცხრილთან.

11. ხანძრისგან დაცვის სისტემის შეფასება:

- **წესების** 903.2.1.2 903.2.8 903.2.10 ქვეთავების მოთხოვნის საფუძველზე ნაგებობა მთლიანად აღჭურვილია **წესების** 903.3.1.1 ქვეთავის შესაბამისი ავტოსაშხეფი სისტემით. ავტოსაშხეფი სისტემის მონტაჟი უნდა მოხდეს NFPA 13 - ის მიხედვით.

- ნაგებობაში გათვალისწინებულია ხელის ცეცხლმაქრები **წესების** 906.1 ქვეპუნქტის მიხედვით და განაწილებულია 906.3(1) ცხრილის შესაბამისად. პორტატული ცეცხლსაქრობები უნდა შეირჩეს და მოეწყოს 906.2 ქვეთავისა და NFPA 10 - ის მოთხოვნების შესაბამისად.

- **წესების** 905.1 ქვეთავის მიხედვით კიბის შემოზღუდულ სივრცეში მოწყობილია სახანძრო მილდგარების მისაერთებლები, რომლებიც უნდა დაყენდეს NFPA 14 - ის მოთხოვნების შესაბამისად.
- გზა-კიბის შემოზღუდვაში დაყენებულია დაწნევის სისტემა **წესების** 1022.10 ქვეთავისა და 909.20.5 ქვეთავის მიხედვით და ვინაიდან საპროექტო ნაგებობები მთლიანად აღჭურვილია 903.3.1.1 ქვეთავის შესაბამისი ავტოსაშხეფი სისტემით - გზა კიბეებს აღარ ესაჭიროებათ ვესტიბიულები.
- **წესების** 907.2.9 ქვეთავის მოთხოვნის მიხედვით სც-2 დაკავებულობებში დერეფნებში დაყენებულია წესების 907.2.9.1 ქვეთავის შესაბამისი ხელით სამართავი სახანძრო განგაშის სისტემა, რომელიც ააქტიურებს დამკავებელთა შეტყობინების სისტემებს 907.5 ქვეთავის შესაბამისად.
- **წესების** 907.2.9.2 ქვეთავის მოთხოვნის მიხედვით UL 217-ის შესაბამისი კვამლზე მორეაგირე მაუწყებლის ერთი და მრავალბლოკიანი მოწყობილობები უნდა დაყენდეს 907.2.11.1 - 907.2.11.4 ქვეთავებისა და NFPA 72-ის მიხედვით.

12. წყალსადენი სისტემის ფიქსირებული მოწყობილობების შეფასება:

- წყალსადენი სისტემის ფიქსირებული მოწყობილობის რაოდენობა შეესაბამება **წესების** ცხრილის 1602.1 მოთხოვნებს.

- ნაგებობების -4, -3 -2 და -1 სართულებზე არსებულ დახურულ ავტოსადგომებს **წესების** 1602.3 -ის გამონაკლისის მიხედვით არ ესაჭიროებათ ტუალეტები

- 1 და 2 სართულებზე არსებულ დაკავებულობებს ემსახურება 1602,1 ცხრილის შესაბამისი რაოდენობის წყალსადენი სისტემები.

- საცხოვრებელ სართულებზე ყველა ბინაში მოწყობილია საჭირო რაოდენობის ტუალეტები (**წესების** 1602.1 ცხრილი)

13. ავტოსადგომების შეფასება:

ნაგებობაში მოწყობილია ავტოსადგომები, რომლებიც **წესების** დაცვითაა დაგეგმარებული და აკმაყოფილებს მის ყველა მოთხოვნას. ავტოსადგომში შესვლა ხდება -4 სართულზე, შიდა სივრცეში მოწყობილია საავტომობილო პანდუსი, რომელიც აერთიანებს ავტოსადგომების -4, -3 -2 და -1 სართულებს და სპირალური პრინციპითაა დაგეგმარებული. ავტომობილების გამოსასვლელი მოწყობილია -1 სართულზე გარეთ გამომსვლელი საავტომობილო პანდუსის

სახით, რომელიც -1 სართულს აკავშირებს ნაკვეთის ჩრდილოეთით არსებულ საზოგადოებრივ გზასთან 0,00 ნიშნულზე.

- ნაგებობების სართულებზე განლაგებულ დახურულ ავტოსადგომს, სადაც განლაგებულია 77 ავტოსადგომი - ემსახურება ცალმხრივი შესასვლელ/გამოსასვლელიანი საავტომობილო გზა, რომლის სიგანე არის 3,5 მეტრზე მეტი. ის აკმაყოფილებს **წესების** 406.9.4.1 ქვეთავის მოთხოვნებს.

- საავტომობილო გზების მოხვევის რადიუსი აკმაყოფილებს **წესების** 406.9.4.2 ქვეთავის მოთხოვნებს.

- ავტოსადგომების ზომები, განლაგებისა და გასასვლელების მიმართ მოთხოვნები განსაზღვრულია **წესების** 406.9.4.3.1 ცხრილის მიხედვით და აკმაყოფილებს მის მოთხოვნებს.

- **წესების** 406.9.2.4 ქვეთავის მიხედვით მოწყობილია მისაწვდომი ავტოსადგომები, რომლებიც დაგეგმარებულია ICC A117.1-ის ნორმების მიხედვით.

- სართულებზე ავტომობილის გადაადგილებისათვის მოწყობილია საავტომობილო პანდუსები. რომელიც დაგეგმარებულია წესების 406.9.4.4 ქვეთავის მოთხოვნების მიხედვით.

დასკვნა

ზემოთ აღნიშნული შეფასებებიდან გამომდინარე მიმაჩნია, რომ ქ. თბილისი. ქუჩა დოლაბაურის #20. ს/კ 01.17.13.045.090 საკადასტრო ერთეულზე მდებარე მრავალფუნქციური კომპლექსი/შენობის არქიტექტურული პროექტის ცვლილების პროექტი სრულად შესაბამისობაშია ტექნიკურ რეგლამენტთან - „შენობა ნაგებობის უსაფრთხოების წესები“. ასევე ვადასტურებ დოკუმენტაცია შედგენილია კარგ ტექნიკურ დონეზე და მოიცავს არქიტექტურული პროექტისათვის ყველა საჭირო ინფორმაციას. საექსპერტო დასკვნის საფუძველზე პროექტს ეძლევა დადებითი შეფასება.

ექსპერტი: გიორგი ლოთიშვილი

25/01/2022


საქართველო
მოქალაქის პირადობის მოწმობა
პირადი № 04001000787
სახელი გიორგი
გვარი ლოთიშვილი
დაბადების თარიღი 01.07.1976
დაბადების ადგილი ამბროლაური
№ გ 1408186
პირადი ხელმოწერა


მისამართი თბილისი შილდის ქ. № 3
მოწმობის გამცემი ორგანოს დასახელება სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს ისანი-სამგორის სამსახური
გაცემის თარიღი 23.12.2010
მოქმედების ვადა 23.12.2020
რეგისტრაციის თარიღი 23.12.2010
ბ.ა.
უფლებამოსილი პირის ხელმოწერა
დამზადდა: სსიპ სრს; შემსრულებელი: შპს „კაბადონი +"; სფს რეგისტრაციის № 05-1623

ს ე რ ტ ი ფ ი კ ა ტ ი

№ 2017-051

გადაეცემა

გიორგი ლოთიშვილს

მასზედ, რომ მან წარმატებით გაიარა შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების კურსი



„შენობა ნაგებობების ინსტიტუტი - საქართველო“

თეიმურაზ ბოლოთაშვილი, დირექტორი

GEORGIAN TECHNICAL UNIVERSITY

DIPLOMA

STU №003630

This is to certify that Mr./Mrs. Giorgi Lotishvili in year 2001 completed a full academic course of the Georgian Technical University majoring in Architecture

By resolution of the State Examination Board, dated July 11, 2001 Mr. Giorgi Lotishvili is conferred the present DIPLOMA and the qualification of Architect

Rector .....

Seal

Chairman of the State Examination Board .....

Dean .....

City Tbilisi 4. 03. 2005

Registration № 14720 Secretary .....

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

დიპლომი

სტუ №003630

მიეცა გიორგი გიორგის ძე ლოთიშვილს იმაზედ, რომ მან 2001 წელს დაამთავრა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სრული კურსი, სპეციალობით არქიტექტორი

სახელმწიფო საგამოცდო კომისიის 2001 წლის 11 ივლისის გადაწყვეტილებით გიორგი გიორგის ძე ლოთიშვილს მიენიჭა არქიტექტორის კვალიფიკაცია

რექტორი .....

ბ.ა. სახელმწიფო საგამოცდო კომისიის თავმჯდომარე .....

დეკანი .....

ქალაქი თბილისი 4. 03. 2005 წ.

სარეგისტრაციო № 14720 მდივანი .....

გიორგი ლოთიშვილი

მისამართი: ფ. მონაპერეს ქ. ნაკ. 044/731
ტელ: 593 222 033
ელ-ფოსტა naormala@gmail.com

დაბადების თარიღი: 01/07/1976
ოჯახური მდგომარეობა: დაოჯახებული

განათლება

1995 – 2001 გავიარე საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის ფაკულტეტის სრული კურსი (ბაკალავრი, მაგისტრატურა) მივიღე კვალიფიკაცია: არქიტექტორი.

2017 წელს გავიარე შენობა ნაგებობის უსაფრთხოების წესების კურსი (41 დადგენილება). იგივე წელს ჩავაბარე საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტის დოქტურანტურაში.

ამჟამად ვარ არქიტექტურის დოქტურანტურის სტუდენტი.

სამუშაო გამოცდილება

2001-2002 წელი	შპს "გოდაკო" არქიტექტორის თანამდებობა
2002 წელი	შპს "ალფა დიზაინი" მთავარი არქიტექტორის თანამდებობა
2003-2010	ინდ-საწარმო "გიორგი ლოთიშვილი". არქიტექტურილი მომსახურება.
2010-2015	შპს "ნაორმალა". ს/ნ (406030227) ფირმის დამფუძნებელი და ხელმძღვანელი. ფირმა ახორციელებს არქიტექტურული პროექტების მომზადებას და თბილისის მერიის არქიტექტურის სამსახურთან შეთანხმებას.
2015-2017	ფ/პ გიორგი ლოთიშვილი, კერძო არქიტექტორის სტატუსით ნაგებობების არქიტექტურული პროექტების მომზადება და შეთანხმება თბილისის არქიტექტურის სამსახურთან
2017-დღემდე	პროექტირებასთან ერთად ვანხორციელებ საკონსულტაციო მომსახურებას 41 დადგენილებასთან შესაბამისობაში. ვამოწმებ სხვა არქიტექტორების მიერ მომზადებულ პროექტებს და გავცემ შესაბამის საექსპერტო შეფასებებს.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტი

თბილისი-0175, კოსტავას ქ. №77; სტუ-ს I კორპუსი; ქალაქის ტელ.: 2-33-71-63; შიდა ტელ.: 62-60
E-mail: n.imnadze@gtu.ge www.gtu.ge

09/10/2020

ცნობა

ეძლევა გიორგი ლოთიშვილს (პირ.№04001000787) მასზედ, რომ მან 2020 წელს დაამთავრა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის დოქტორანტურის სრული კურსი და 2020 წლის 20 ივლისს მიენიჭა არქიტექტურის დოქტორის აკადემიური ხარისხი (ოქმი N 1).

ნ. იმნაძე

არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის
ფაკულტეტის დეკანი